ნიადაგის ეროზია საძოვრებზე

გიორგი ხომასურიძე

ელ.ფოსტა: giorgi.khomasuridze676@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. საქართველო მცირემიწიან ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანთა დაუდევარი ზემოქმედების შედეგად საკმაოდაა დაზიანებული ნიადაგური საფარი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საძოვრები.

გორის რაიონის საძოვრებზე არსებული ნიადაგის ეროზია, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჩვენი ქვეყნის საძოვრებზე არსებული სიტუაციისა. აქ არსებულ საძოვრებზე ნიადაგი განიცდის აქტიურ ეროზიას, რაც გამოწვეულია უსისტემო ძოვებით.

საქართველოს ბუნებრივი პირობები და ხშირად ადამიანთა არასწორი სამეურნეო მოქმედება აპირობებს ნიადაგის ეროზიული პროცესების სწრაფ განვითარებას. ამიტომ უნდა მოხდეს ეროზიის განვითარების კანონზომიერების შესწავლა და მისგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებების შემუშავება-დანერგვა.